ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - **დავით ჭითანავა** და მეცნიერი თნამშრომელი **- შორენა ლალიაშვილი** 2025 წლის 7 ივლისიდან 18 ივლისამდე მონაწილეობდნენ ქართულ-ამერიკული სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობაში, რომელიც იკვლევს საქართველოს მოსახლეობის გენეტიკურ ისტორიას. საკვლევად მოპოვებული იქნა მოსახლეობის დნმ-ის ნიმუშები. აღნიშნული კვლევა წარმოებს ასევე, ისტორიულ-ეთნოლოგიური მიმართულებით.

ამერიკელ კოლეგებთან ერთდ, 2012, 2016, 2018 და 2023 წლებში შესწავლილი იქნა სვანეთის, სამეგრელოს, აჭარის, გურიის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მოსახლეობა. ამჯერად კი, მასალა მოპოვებული იქნა ქვემო სვანეთის (ლენტეხის მუნიციპალიტეტი), რაჭა-ლეჩხუმის (ცაგერის, ამბროლაურის, ონის მუნიციპალიტეტები) და ზემო იმერეთის (საჩხერის, ჭიათურის, თერჯოლის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტები) რეგიონებში.

მოპოვებული მასალა დამუშავდება და შედეგები გამოქვეყნებული იქნება ერთობლივ სამეცნიერო სტატიებში, ასევე, წარდგენილი იქნება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე.